



DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთიანება

გერმანიის სოსხასკას მხარდობა

DWV-ს ბიზნეს ბიულეტენი სექტემბერი 2017

ბიზნეს მოთხოვნები საქართველოდან

თუ დაინტერესებული ხართ გერმანული პარტნიორის მოძიებით, გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი მოთხოვნა თქვენთვის სასურველ პროდუქციაზე ინგლისურ ან გერმანულ ენაზე და თან დაურთოთ დეტალური საკონტაქტო ინფორმაცია. დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: zaira.soloeva@georgien.ahk.de

ბიზნეს მოთხოვნები გერმანიიდან

ყველა ქვემოთ ხსენებულ ბიზნეს მოთხოვნაზე დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ketevan.vachiberidze@georgien.ahk.de

სადისტრიბუციო პარტნიორი სამედიცინო ტექნიკისათვის

გერმანული კომპანია EMG International, რომელიც აწარმოებს სამედიცინო ტექნიკას და წარმატებით თანამშრომლობს საერთაშორისო სამედიცინო დაწესებულებებთან, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.emg-berlin.de

პარტნიორი სათამაშო მოწყობილობებისა და მოედნებისათვის

გერმანული კომპანია Createch, რომელიც ამზადებს გარე სამაგიდო თამაშებსა და ავეჯს, ეძებს სათამაშო მოწყობილობებისა და მოედნების მშენებელ პარტნიორებს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.createch-mineralstein.de

სადისტრიბუციო პარტნიორი მაღალი ეფექტურობის ენერჯო სისტემებისათვის

გერმანული კომპანია Deutsche Energiesysteme GmbH, რომელიც აწარმოებს მაღალი ეფექტურობის გათბობის სისტემებს "aelectra", ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.aelectra.de

სადისტრიბუციო პარტნიორი ლანდშაფტის მოვლის მანქანა-დანადგარებისათვის

გერმანული კომპანია AS-Motor Germany GmbH & Co. KG, რომელიც პროფესიონალურ მანქანა-დანადგარებს ლანდშაფტის მოვლისათვის, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.as-motor.de

სადისტრიბუციო პარტნიორი ბავშვთა პროდუქტებისათვის

გერმანული კომპანია Easy GmbH – Kinderideen, რომელიც აწარმოებს ბავშვთა ინოვაციურ პროდუქტებს, ეძებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.easy-kinderideen.de

იმპორტიორი ხის მასალის ნაწილებისათვის

გერმანული კომპანია Munich Trading, რომელიც ეწევა საიმპორტო, საექსპორტო და სადისტრიბუციო საქმიანობას, ეძებს ხის ავეჯის ნაწილების მომწოდებელს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.munichtrading.com

იმპორტიორი ხილისა და ბოსტნეულისათვის

გერმანული კომპანია Elbe Hannel UG ეძებს ხილისა და ბოსტნეულის, მათ შორის სხვადასხვა სახის ბარდის გრძელვადიან დისტრიბუტორს და იმპორტიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.elbefruit.eu

საერთაშორისო პარტნიორი წყლის ტექნოლოგიებისათვის


გერმანული კომპანია IR CONSULT, რომელიც აწარმოებს წყლის ტექნოლოგიებს ბიოლოგიური და ტექნოლოგიური წმენდის, სასმელი წყლის მრავალმხრივი ფილტრაციისათვის, ეძებს საერთაშორისო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.ir-consult.de

პარტნიორი ქაღალდის პროდუქტებისათვის

გერმანული კომპანია Nakagawa, რომელიც აწარმოებს ქაღალდის პროდუქტებს თერმო და ჭავლური ბეჭდვისათვის, მაგ. ეტიკეტის რულონების, ბილეთებისა და

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია
- საქმიანი პარტნიორების ძებნა
- პერსონალის მოძიება
- საქმიანი ვიზიტები
- საოფისე მომსახურება
- გამოფენები და კონფერენციები
- თარჯიმნთა უზრუნველყოფა
- იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია
- ორგანიზაციის დაარსება
- DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთიანება

გერმანიის სოსხისა და მხარხმარხის

სხვ., ემებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.nakagawa.de

პარტნიორი სამედიცინო ტურიზმისათვის

გერმანული კომპანია Hermann GbR, რომელიც წარმოადგენს სამედიცინო სერვისის მიმწოდებელს, ემებს კლინიკებს და საავადმყოფოებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საერთაშორისო პაციენტებით და სამედიცინო ტურიზმით. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.medical-vip.com

სადისტრიბუციო პარტნიორი სასწავლო გეომეტრიული ფიგურებისათვის

გერმანული კომპანია Günter Herrmann Lehrmittelfabrik, რომელიც ორგანული მინისგან აწარმოებს მათემატიკისა და გეომეტრიის სასწავლო ფიგურებს სკოლებისა და სასწავლო დაწესებულებისათვის, ემებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.herrmann-lehrmittel.de

სადისტრიბუციო პარტნიორი საცხოობი, საკონდიტრო და სხვა მანქანა-დანადგარებისათვის

გერმანული კომპანია Kaelte Rudi GmbH & Co. KG, რომელიც აწარმოებს მანქანა-დანადგარებს ნაყინის წარმოებისთვის, საცხოობისა და საკონდიტროებისათვის, ემებს სადისტრიბუციო პარტნიორსა და საბოლოო მომხმარებელს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.kaelte-rudi.de

სადისტრიბუციო პარტნიორი მაღალი ეფექტურობის გათბობის სისტემებისათვის

გერმანული კომპანია Deutsche Energiesysteme GmbH (Aelectra Work Lab), რომელიც აწარმოებს მაღალი ეფექტურობის გათბობის სისტემებს, ემებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.aelectra.de

სადისტრიბუციო პარტნიორი ზადის ავეჯისა და დეკორაციული ნივთებისათვის

გერმანული კომპანია Komforta UG, რომელიც აწარმოებს მაღალი ხარისხისა და დახვეწილი დიზაინის დეკო-

რაციულ ნივთებს ზადისათვის ემებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.komforta.de

სადისტრიბუციო პარტნიორი ინდუსტრიული ქიმიკატებისა და ზეთის ზეთის პროდუქტებისთვის

გერმანული კომპანია Berillo Global Trade GmbH, რომელიც აწარმოებს ინდუსტრიულ ქიმიკატებსა და ორგანული ზეთის ზეთის პროდუქტებს, ემებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.berilloglobal.com

სადისტრიბუციო პარტნიორი სასუსნავი პროდუქტებისათვის

გერმანული კომპანია Ostermühle Naturkost GmbH, რომელიც აწარმოებს სრულიად ახალ სასუსნავ პროდუქტებს სხვადასხვა საწებლებით, ემებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.ostermuehle.de

სადისტრიბუციო პარტნიორი ელექტრო სისტემებისათვის

გერმანული კომპანია Metallux AG, რომელიც აწარმოებს წნეხის სენსორებს, გზამკვლევ სენსორებს, რეზისტორებსა და ჯოისტიკებს, ემებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.metallux.de

სადისტრიბუციო პარტნიორი ფიქსატორებისა და სამაგრებისათვის


გერმანული კომპანია RST-Stanztechnik, რომელიც აწარმოებს სხვადასხვა სახის ავეჯის სამაგრებს და ასევე, ფიქსატორებს, ემებს სადისტრიბუციო პარტნიორს. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.rst-stanztechnik.de

სადისტრიბუციო პარტნიორი მანსარდის ინოვაციური ფანჯრებისათვის

გერმანული კომპანია VivaVitro GmbH, რომელიც აწარმოებს ინოვაციურ მინა-ბოჭკოვან ფანჯრებს მანსარდებისა და სახურავებისათვის, ემებს სადისტრიბუციო პარტნიორს.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საზაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოვსე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნთ უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთიანება

გერმანიის სისხისსისხის სისხისსისხის

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ კომპანიის ვებ-გვერდი: www.vivavitro.de

ექსპორტ-იმპორტის დაფინანსება

კომერციული დაფინანსება გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG-სგან

გერმანული კომპანია DFT Deutsche Finetrading AG გათავაზობთ არასაბანკო დაფინანსების ახალ მოდელს, რომელიც საშუალებას გაძლევთ მიიღოთ **ბანკებისგან დამოუკიდებელი დაფინანსება** განსხვავებული პირობებით როგორცაა მუდმივი საკრედიტო ხაზი, ნაწილობრივი დაფინანსება, ერთჯერადი კრედიტი და სხვა. დაინტერესების შემთხვევაში გთხოვთ მოგვმართოთ: ketevan.vachiberidze@georgien.ahk.de

AKA ბანკი აფინანსებს ექსპორტს გერმანიიდან საქართველოში

2012 წლიდან გერმანული AKA ბანკი (საექსპორტო კრედიტების საზოგადოება Ausfuhrkredit-Gesellschaft m.b.H., Aka Bank, www.akabank.de) აფინანსებს ექსპორტს ერთი მილიონი ევროდან ზევით გერმანიიდან საქართველოში. ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით 2012 წლის გაზაფხულზე გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს ბანკთან. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით: info@georgien.ahk.de

DEG ბანკი აფინანსებს ექსპორტს გერმანიიდან საქართველოში

გერმანული ინვესტიციისა და განვითარების საზოგადოება (DEG, www.deginvest.de) 50 წელზე მეტია აფინანსებს ექსპორტსა და ინვესტიციებს გერმანიიდან საქართველოსა და სხვა განვითარებად ქვეყნებში. იმ შემთხვევაში თუ საქმე ეხება გერმანულ პროდუქტს. DEG ბანკი იძლევა გრძელვადიან კაპიტალს ბაზარზე არსებული პირობებით და კონსულტაციას უწევს კომპანიებს პროექტის ყველა ფაზაში. DEG აფინანსებს ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში, აგრარულ, ინდუსტრიულ და საფინანსო სექტორში. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დაგვიკავშირდით: info@georgien.ahk.de

ზოგადი ინფორმაცია გერმანიაში პროდუქციის იმპორტის შესახებ

გერმანიის ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან რეგულირდება საგარეო ვაჭრობის აქტით, საგარეო ვაჭრობის რეგულაციით, ევროპის საბჭოსა და კომისიის ლეგალური აქტებით. განსხვავებები დამოკიდებულია პროდუქციის სახეობაზე და ვაჭრობაზე სხვა ევროკავშირის ქვეყნებთან (შიდა ბაზარი) და მესამე ქვეყნებთან.

მესამე ქვეყნებიდან საქონლის იმპორტის დროს, მნიშვნელოვანია სატარიფო და არასატარიფო შეზღუდვები:

- იმპორტის სატარიფო შეზღუდვები გამომდინარეობს საბაჟო (კანონმდებლობიდან) და მოიცავს საბაჟო გადასახადს იმპორტირებულ საქონელზე.
- არასატარიფო შეზღუდვები შეიძლება გამომდინარეობდეს საგარეო ვაჭრობის კანონიდან ან სხვა ლეგალური წყაროებიდან.

იმპორტის შეზღუდვების საგარეო ვაჭრობის კანონი მოიცავს აკრძალვებს (მაგ. ემბარგო), ავტორიზაციის მოთხოვნას (მაგ. იმპორტის ავტორიზაციის მოთხოვნა გარკვეულ ტექსტილზე) და მონიტორინგის ზომებს (მაგ. დოკუმენტების მონიტორინგი რკინისა და ფოლადის პროდუქციის იმპორტის დროს).

საქონელი, რომელიც საგარეო ვაჭრობის კანონის მიხედვით ექვემდებარება ავტორიზაციას და მონიტორინგს, ასევე გარკვეულ პროცედურულ მოთხოვნებს, ჩამოთვლილია იმპორტის სიაში. ეს სია ინტეგრირებულია ელექტრონული საბაჟო ტარიფების სისტემაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: http://europa.eu/youreurope/business/expanding-business/doing-business-outside-eu/germany/index_en.htm

ევროკომისიის ექსპორტის საკითხებში დახმარების პროგრამის ახალი ვერსია განვითარებადი ქვეყნებისთვის (Export Helpdesk)

ევროკომისიამ ექსპორტის საკითხებში დახმარების ახალი ვერსია შეიმუშავა. ეს უფასო ონლაინ მომსახურება ძალიან მარტივად ხსნის განვითარებადი ქვეყნებისათვის ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესაძლებლობებს. მხოლოდ რამდენიმე ლილაკზე დაჭერით, თქვენთვის ხელმისაწვდომი ხდება ინფორმაცია სხვადასხვა პროდუქტზე ევროკავშირის მოთხოვნილებების, გადასახადების, ტარიფების, შეღავათების, წესებისა და სტატისტიკის შესახებ. იხილეთ დამატებითი ინფორმაცია: [EU Neighbourhood Info](http://EU.Neighbourhood Info)

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაერთიანება

გერმანიის სოსხასკას მხაკლიოდ

დაგეგმილი ღონისძიებები

DWV-ექსკლუზივი თბილისის მერობის კანდიდატთან, ალექსანდრე ელისაშვილთან - 4 ოქტომბერი 2017

თბილისის, როგორც ეკონომიკური საქმიანობის ცენტრის მიმართ, ბიზნეს სექტორის მაღალი ინტერესისა და მერის არჩევნების მნიშვნელობის გათვალისწინებით, გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება ორგანიზებას უწევს შეხვედრას თბილისის მერობის რამდენიმე კანდიდატთან DWV ექსკლუზივის ფარგლებში. პირველი შეხვედრა გაიმართება თბილისის მერობის დამოუკიდებელ კანდიდატთან, ბატონ ალექსანდრე ელისაშვილთან. ღონისძიების ფარგლებში, ბატონი ალექსანდრე წარადგენს საკუთარ გეგმას თბილისის ეკონომიკური განვითარების შესახებ, რომლის შემდეგაც აუდიტორიას შეეძლება მისთვის კითხვების დასმა. DWV-მ შეხვედრაზე ასევე მოიწვია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მერობის კანდიდატი, ბატონი ვახა კალაძე და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" მერობის კანდიდატი, ბატონი ზაალ უდუმაშვილი, რომელთაგანაც ველით თარიღების დადასტურებას. მერობის კანდიდატების მოწვევისას შემოვიფარგლეთ NDI-ის კვლევის საფუძველზე გამოვლენილი სამი ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე კანდიდატით. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ ელ.-ფოსტაზე: ketevan.kvlividze@georgien.ahk.de



DWV-ს და Siegel-ის ერთობლივი ტრენინგი: კატეგორიების მართვა შესყიდვებში, 10 ოქტომბერი 2017

ექსპრეს კურსის ფარგლებში განხილული იქნება შესყიდვების კატეგორიების მართვა და მისი ძირითადი ამოცანები, შესყიდვების დაყოფა სამუშაო კატეგორიებად, ხარჯების ანალიზის ჩატარება ისტორიულ მონაცემებზე და სამომავლო გეგმებზე დაყრდნობით, ბაზრისა და რისკების ანალიზის ჩატარება, კატეგორიებისათვის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მიზნების განსაზღვრა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ექსპრეს კურსის ბოლოს მონაწილეებს შესაძლებლობა ექნებათ შეაფასონ ტრენინგის ფარგლებში მიღებული ცოდნა ტესტირების საფუძველზე. ექსპრეს კურსს გაუძღვება შესყიდვების სფეროში მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილების მქონე

სპეციალისტი, შესყიდვების კონსულტანტი, ბიზნეს ტრენერი, Siegel HR-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და კავკასიის რეგიონში - თამარ ახსიაშვილი. ტრენინგის პროგრამა და სარეგისტრაციო ფორმა იხილეთ აქ. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: ketevan.kvlividze@georgien.ahk.de

Messe Frankfurt-ის გამოფენა Cleanzone, 17-18 ოქტომბერი 2017



Messe Frankfurt ქალაქ ფრანკფურტში მართავს საერთაშორისო გამოფენას Cleanzone 2017. დამთვალიერებელს საშუალება ექნება გაეცნოს უახლეს ტექნოლოგიებს ლაბორატორიული და სტერილური სივრცეების კეთილმოწყობისა და აღჭურვისათვის, სხვა-დასხვა ინდუსტრიული გამოყენებისათვის. გამოფენის ფარგლებში დაგეგმილია ვორქ შოფი, კონგრესი და დაჯილდოება. DWV მხარს უჭერს Cleanzone 2017-ს და საქართველოს მოქალაქე გამოფენის მონაწილეებსა და ვიზიტორებს დაეხმარება წასვლასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. დეტალური ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: cleanzone.messefrankfurt.com დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ზაირა სოლოევას, zaira.soloeva@georgien.ahk.de

FieraMilano-ს გამოფენა HostMilano 2017, 20-24 ოქტომბერი, 2017



FieraMilano-ს საგამოფენო ცენტრში გაიმართება გამოფენა HostMilano 2017- ლიდერი Ho.Re.Ca, გასტრონომიის, საცალო და საბითუმო დისტრიბუციის არხებისა და სასტუმრო ინდუსტრიაში. ეს არის უნიკალური ბაზარი მაღალი დონის საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობისათვის. გამოფენის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სახის ვორქშოფები და კონფერენციები. გამოფენის ფარგლებში, ევროკომისიის (EU) ახალი ინიციატივით „Business Beyond Borders“ დაგეგმილია ხელშეწყობისა და „Matchmaking“-ის ღონისძიებები

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაერთიანება

გერმანიის სისხისასკას მხარისასკას

საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერისთვის. ინიციატივას კოორდინირებას უწევს ევროპის სავაჭრო-სამრეწველო პალატების ასოციაცია (EUROCHAMBERS). გამოფენის მონაწილე კომპანიათა სია იხილეთ აქ. დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდებს: host.fieramilano.it, www.b2match.eu



გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების მომდევნო „get together“ ჩატარდება ოთხშაბათს, 18 ოქტომბერს, 18 საათიდან, Schuchmann Wine Bar & Restaurant-ში, სიონის ქ. 8, ქარვასლის შენობაში. „Get together“ ღონისძიებაზე მოწვეულნი არიან გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების როგორც წევრი, ასევე არაწევრი ორგანიზაციების გერმანულად მოსაუბრე წარმომადგენლები. ღონისძიება იმართება ყოველთვიურად. დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: zaira.soloeva@georgien.ahk.de

DWV-ს ახალი წევრები

DWV გულითადად მიესალმება მის ახალ წევრს:

ორგანიზაცია:

The Grove Design Hotel -

სასტუმრო

www.tg-hotel.com

Powderproject.ge

ექსტრემალური სათხილამურო სპორტი

www.powderproject.ch

DWV-ს წევრი კომპანიებისა და პარტნიორების ვაკანსიები

The Grove Design Hotel –

აცხადებს ვაკანსიას მთავარი ბუღალტერის პოზიციაზე. განცხადების სრული ტექსტი იხილეთ აქ.

Luca Polare -

აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ აქ.

თიბისი ბანკი -

აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ აქ.

კომპანია ნიკორა -

აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ აქ.

Adjara Group Hospitality -

აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ აქ.

თეგეტა მოტორსი -

აცხადებს ვაკანსიებს სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ აქ.

კრედო ბანკი -

აცხადებს ვაკანსიას სხვადასხვა პოზიციებზე. განცხადების სრული სია და ტექსტი იხილეთ აქ.

DWV-ს წევრებისა და პარტნიორების სიახლეები და ღონისძიებები

რაინერის ევროპული რესტორანი შვაბურ ფესტივალს მართავს



გერმანია-საქართველოს მეგობრობის წლის ფარგლებში ჩვენი წევრი, რაინერის ევროპული რესტორანი „შვაბური ბოლნისის“ მცირე ზომის

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებასთან ერთად, მართავს ორიგინალურ შვაბურ ფესტივალს ბოლნისსა და თბილისში.

შვაბური ბაღისა და სარდაფის ფესტივალი - *ბოლნისი, 30 სექტემბრიდან 8 ოქტომბრამდე.*

შვაბური ოქტომბრის ლუდის ფესტივალი - *თბილისი, 9 ოქტომბრიდან 5 ნოემბრამდე.*

დამატებითი ინფორმაცია ფესტივალთან დაკავშირებით იხილეთ აქ.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საზარო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთიანება

გერმანიის სისხისსისხის სისხისსისხის

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის თავისუფლებისათვის ღონისძიება - იხსენით ძირითადი უფლებანი

ჩვენი წევრი, ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის, მართავს გერმანულ ბაუმის, გერმანიის ყოფილი ფედერალური მინისტრის, წიგნის - „იხსენით ძირითადი უფლებანი“ ქართული ვერსიის პრეზენტაციას, რომელიც გაიმართება ოთხშაბათს, 2017 წლის 4 ოქტომბერს, ილიას ბაღის კომპლექსში.

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის პროექტის ხელმძღვანელი სამხრეთ კავკასიაში-პეტერ ანდრეას ბოხმანის, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის-ანა დოლიძის, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის ელჩის საქართველოში-დოქტ. ჰაიკე ფაიხის მისასალმებელი სიტყვების შემდეგ, გერმანულ ბაუმის გამართავს თავისი წიგნის პრეზენტაციას. ღონისძიების ფარგლებში გაიმართება დისკუსია თემაზე „არის თუ არა ადამიანის ძირითადი უფლებები ევროპაში საფრთხის ქვეშ.“ დისკუსიაში მონაწილეობას მიიღებენ გერმანულ ბაუმის, ლუკას ბეგლინგერი - შვეიცარიის ელჩი საქართველოში, დავით უსუფაშვილი - საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე და ქეთევან ციხელაშვილი - მინისტრი შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში. დისკუსიის მოდერატორი იქნება მაია ფანჯიკიძე -საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი და წიგნის მთარგმნელი გერმანულიდან ქართულ ენაზე.

ღონისძიების სამუშაო ენაა გერმანული და ქართული. ასევე, უზრუნველყოფილი იქნება სინქრონული თარგმანი. ღონისძიების პროგრამა შეგიძლიათ იხილოთ აქ.

თბილისი ლიზინგი "აღჭურვილობის მომწოდებლების გამოფენას და ლიზინგის ფორუმს" ასპონსორებს

ჩვენი წევრის, "თბილისი ლიზინგის" სპონსორობით და "საქართველოს ლიზინგის ასოციაციის" მხარდაჭერით, 2017 წლის 17 ოქტომბერს, სასტუმროში "ბილტმორ თბილისი", "აღჭურვილობის მომწოდებლების გამოფენა და ლიზინგის ფორუმი" იმართება, რომლის მიზანია საქართველოში თოთოეული დარგის განვითარება და ბიზნესისთვის სოლიდური პლატფორმის შექმნა მსოფლიოს მასშტაბით კავშირების გასაფართოებლად და



უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების გასაზიარებლად. ფორუმს დაესწრება 500-ზე მეტი დელეგატი კავკასიის, დსთ-ს, შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან. წარმოდგენილი იქნებიან მომწოდებლები 9-ზე მეტი ქვეყნიდან და დელეგატები 16-ზე მეტი ქვეყნიდან.

ღონისძიების მიზანია იაფი ფინანსური რესურსის შეთავაზება მეწარმეებისთვის ტექნიკური პარკის განსახლებლად, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის წინსვლას.

სს „თბილისი ლიზინგი“ 2003 წელს დაფუძნდა „თბილისი ბანკის“ მიერ. კომპანია ლიდერია საქართველოს სალიზინგო ბაზარზე და ამ ეტაპზე 130 მლნ ლარის მოცულობის პორტფელს მართავს. მისი ძირითადი მომხმარებლები არიან სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, მედიცინის, წარმოების, მომსახურების და სხვა სფეროებში მოღვაწე მცირე და საშუალო ზომის კომპანიები მთელი საქართველოს მასშტაბით. 2016 წლიდან კომპანია აქტიურად გადაერთო სამომხმარებლო ბაზარზეც და მომხმარებლებს სთავაზობს მსუბუქი ავტომობილების შესყიდვის ფინანსირებას მრავალი დამატებითი საინტერესო მომსახურებებით.

„თბილისი მარათონი 2017“

22 ოქტომბერს, თბილისის ცენტრში გაიმართება „თბილისი მარათონი 2017“- რიგით მე-6 მასშტაბური საერთაშორისო სპორტული და საქველმოქმედო ღონისძიება. პროექტი ჰაიდელბერგცემენტის ორგანიზებით ტარდება. მარათონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მსურველს - მოყვარულს თუ პროფესიონალს. დამატებითი ინფორმაციისა და რეგისტრაციისათვის ეწვიეთ ვებ-გვერდს: www.tbilismarathon.ge



Gvinadze & Partners მიესალმება ახალ პარტნიორებს

Gvinadze & Partners მოხარულია გაცნობოთ, რომ უფროსი იურისტები, სოფო ფანჯიკიძე (15 წელი კომპანიასთან ერთად) და ზაქარია შველიძე (დაახლ. 10 წელი კომპანიასთან ერთად) 2017 სექტემბრიდან Gvinadze & Partners-ის პარტნიორები გახდნენ.



რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაერთინანგა

გერმანსკას სოსხასკას შიხატიოლ

იურისტებმა, მარიამ მეტრეველმა და თორნიკე ამილახვარმა მიიღეს უფროსი იურისტის სტატუსი. ამასთანავე, კომპანია მიესალმება გუნდის ორ ახალ წევრ იურისტს, ეკატერინე ფიფიასა და თამარ გოგიბერიძეს.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტები კომპანია „დიო“-ს ესტუმრნენ

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტისა (IBSU) და ჩინეთის წამყვანი საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის (UIBE) უნივერსიტეტის - ბიზნესის მართვის ფაკულტეტის სტუდენტები კომპანია „დიოს“



ესტუმრნენ, რომელიც უკვე 21 წელია ქართულ ბაზარზე წარმატებით ფუნქციონირებს და ამ სფეროში ერთ-ერთი მოწინავეა. სტუმრებმა კომპანიის შოუ რუმი და საწარმო მოინახულეს, სადაც 150-ზე მეტი ადამიანი დასაქმებული. სტუდენტები კომპანიის პროდუქციის თითქმის ყველა სახეობასა და ხარისხს გაეცნენ. საწარმოში პროდუქციის დამზადების ეტაპები დაათვალიერეს და თითოეული პროდუქტი ნახეს, სანამ მომხმარებლამდე მივა - თუ რა გზას გადის. კომპანია „დიო“-სა და IBSU-ს შორის მემორანდუმის ფარგლებში ერთობლივი პროექტები, ღონისძიებები და სხვადასხვა აქტივობები კვლავ განხორციელდება.

„დიო“-მ ბავშვთა ჰოსპისის „ციცინათელების ქვეყანა“ დასახმარებლად გამართულ საქველმოქმედო აუქციონში მონაწილეობა მიიღო



20 სექტემბერს „თბილისი რუმსში“ გამართულ აუქციონზე სხვადასხვა ცნობილი მხატვრის ნამუშევრები გაიყიდა, რომელთაგან ერთ-ერთი, კერძოდ მიშა გოგრიჭიანის არაჩვეულებრივი ნახატი „ძალი ლეკვებით“ კომპანია „დიო“-მ შეიძინა. აუქციონიდან შემოსული თანხა ბავშვთა ჰოსპისის ფუნქციონირებას მოხმარდება. ამ არაჩვეულებრივი ბავშვებისთვის დამატებითი სიკეთის გასაკეთებლად ღონისძიებაზე 30 000 \$ შეგროვდა. ყველა ლოტს დამატატა ხუთასი ლარი, რომელიც პრეზიდენტმა გაიღო შემოწირულობის სახით სარეზერვო ფონდიდან. საქველმოქმედო საღამოს ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული საელჩოებისა და ბიზნესის

წარმომადგენლები დაესწრნენ. შეგახსენებთ, რომ გასულ წელს „დიო“-მ თავისი 20 წლის იუბილე „ბავშვთა ჰოსპისს“ მიუძღვნა და საკუთარ თავზე აიღო შენობის კარ-ფანჯრებით, ტენტებითა და ჟალუზებით აღჭურვა.

აიბი-მთიების სკოლის ახალი შენობა უფროსკლასელთათვის

სკოლა აიბი-მთიების უფროსკლასელთათვის აშენდა თანამედროვე



განათლებისათვის საჭირო ტექნოლოგიური რესურსებით აღჭურვილი შენობა, რომელიც საზეიმოდ გაიხსნა სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში 2017 წლის 14 სექტემბერს. სკოლა მთიებს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო ბაზარზე უკვე 23 წელია ღირსეული ადგილი უკავია. სკოლა დღის პანსიონის რეჟიმით ფუნქციონირებს, მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო სასწავლო-სააღმზრდელო გარემოთი და დაკავებული არიან სპორტითა და არჩევითი საკლუბო საქმიანობით. 1200 მოსწავლის აღზრდას 200 კვალიფიციური სამასწავლებლო, სააღმზრდელო, სამედიცინო, კვებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი ემსახურება. თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული მაღალი აკადემიური პროგრამები სკოლის სავიზიტო ბარათია.

Arvato Bertelsmann - საქართველოში ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის კუთხით განხორციელებული ინვესტიციის მაგალითი



საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს განცხადებით, „ბიზნეს პროცესების აუტოსორსინგის [ე.წ. BPO] კუთხით საქართველო მიმზიდველი ლოკაცია ხდება უცხოელი ინვესტორებისთვის“. კერძოდ, „ბოლო 1 წლის განმავლობაში უკვე რამდენიმე საერთაშორისო, ცნობილმა კომპანიამ სერვისების აუტოსორსინგის კუთხით საქართველოში მნიშვნელოვანი ინვესტიცია განახორციელა“, აღნიშნავს უწყება. ინვესტიციის მოცულობა არ არის დაკონკრეტებული. მაგალითად მოყვანილია გერმანული კომპანია Arvato Bertelsmann, რომელმაც ამ ეტაპზე 150 ადამიანი დაასაქმა და ევროპის ქვეყნებს სხვადასხვა სახის მომსახურებებს აწვდის,

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაერთიანება

გერმანიის ეკონომიკური ბაერთიანება

მათ შორის კლიენტებთან ურთიერთობის მართვის, ელექტრონული ვაჭრობისა და ფინანსების მიმართულებით. უახლოეს მომავალში კომპანია დამატებით 150 თანამშრომლის აყვანას გეგმავს, აღნიშნავს სამინისტრო.

რეგუსი თავისუფლების მოედანზე



აღმოაჩინეთ თანამედროვე კონცეფციის A კლასის ბიზნეს ცენტრი რეგუსი, თბილისში, თავისუფლების მოედანზე.

რეგუსი მოწყობილი ოფისებით

მომსახურების უმსხვილესი პროვაიდერია მსოფლიოში. რეგუსი გთავაზობთ - მოწყობილ ოფისებს, ვირტუალურ ოფისებს, შეხვედრების ოთახებს, საერთო სამუშაო სივრცეს და წვდომას რეგუსის ქსელზე მსოფლიოს 120 ქვეყანაში, 3000 ბიზნეს ცენტრში. შემოთავაზება სრულად იხილეთ აქ.

შემოსავლები გამოფენებიდან მსოფლიოს მასშტაბით: Messe Frankfurt ტოპ 10 კომპანიას შორის



გერმანული კომპანიები კარგად არიან წარმოდგენილნი წამყვან საგამოფენო ბიზნესში მსოფლიოს მასშტაბით.

2016 წლის შემოსავლების მიხედვით, ტოპ 10 კომპანიიდან 4 გერმანულია. ეს არის 2017 წლის აგვისტოში გერმანიის სავაჭრო საგამოფენო ინდუსტრიის ასოციაციის (AUMA) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგი. ბრიტანელი ორგანიზატორების მიერ მოწყობილი Reed Exhibitions-სა (1,277.4 მილიონი ევრო) და UBM-ს (830.6 მილიონი ევრო) შემდეგ, Messe Frankfurt არის მესამე ადგილზე 647.0 მილიონი ევროს გაყიდვებით, რომელსაც მოსდევს ფრანგული კომპანია GL Events, 452.6 მილიონი ევროს გაყიდვებით. გარდა ამისა, 3 გერმანული ბიზნესი იკავებს მე-5, მე-6 და მე-10 ადგილებს: Messe Düsseldorf 442.8 მილიონი ევროს გაყიდვებით, Messe München 428.1 მილიონი ევროს გაყიდვებით და Messe Berlin 309.4 მილიონი ევროს გაყიდვებით თავიანთ საგამოფენო საქმიანობის სფეროებში. გამოფენაზე წარმოდგენილი 33 კომპანიიდან, რომელთა შემოსავალი 100 მილიონ ევროზე მეტია, ცხრა გერმანიაში მდებარეობს, ექვსი კი გაერთიანებულ სამეფოში. ზოგადად, რეიტინგში ევროპული კომპანიები დომინირებენ: აღნიშნული 33 კომპანიიდან მხოლოდ 5 მდებარეობს ევროპის საზღვრებს

გარეთ: Emerald Expositions (აშშ), Hong Kong Trade Development Council, Coex (კორეა), Tokyo Big Sight and SNIEC Shanghai. 2016 წელს გერმანული კომპანიების მთლიანმა შემოსავალმა 3.9 მილიარდ ევროს მიაღწია. 2017 წელს პერიოდული მიზეზების გამო ნაკლები სიხშირით გამართული ღონისძიებებიდან, AUMA დაახლოებით 3.5 მილიარდი ევროს შემოსავალს ვარაუდობს.

„ზედაზენი კრაფტი“ - ქართული ლუდის კომპანიის მორიგი საჩუქარი ლუდის მოყვარულებს

სს ქართული ლუდის კომპანიამ 2017 წლის ივლისში ბაზარზე ახალი ბრენდი „ზედაზენი კრაფტი“ წარადგინა. ახალი ლუდისთვის სპეციალურად შეირჩა რამოდენიმე სახეობის სვია და ალაო, გამოყენებულ იქნა ხარშვის განსხვავებული მეთოდი.



Rainer's -ის „Get together“ ღონისძიება



Rainer's -ის მომდევნო „Get together“ ჩატარდება 26 ოქტომბერს 19 საათიდან რაინერის პიცერიაში, ბარნოვის ქ. 32.

ინფორმაცია DWV-ზე

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება (DWV) არის გერმანიის სავაჭრო და სამრეწველო პალატებისა (DIHK) და გერმანიის საგარეო სავაჭრო პალატის (AHK) ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში და სომხეთში. იგი წარმოადგენს იმ ფორმატა საწევრო ორგანიზაციას, რომლებიც გერმანულ-ქართულ/სომხურ ურთიერთობებში აქტიურად არიან ჩაბმულნი. DWV 2007 წელს დაარსდა და დღეისათვის 165-ზე მეტ წევრს ითვლის, რომლებიც ქართული/სომხური და გერმანული DWV-ს მმართველ საბჭოს თავმჯდომარე არის დოქტორი საშა ტერნესი (შპს ტერნეს უძრავი ქონების ფონდი). მმართველ საბჭოს ასევე მიეკუთვნებიან დავით შენგელია (კაპაროლ ჯორჯია), გიორგი ბათლიძე (BLC იურიდიული კომპანია) და მიხაელ ჰამპელი (ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია). გერმანიის საელჩო თბილისში DWV-ს

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაზრთიანება

გერმანიის სისხისსისხის სისხისსისხის

მმართველი საბჭოს მრჩეველი წევრია. მმართველი საბჭოს საპატიო თავმჯდომარე არის გერმანელი მეწარმე, პროფ. დოქტ. კლაუს ჰიპი.

DWV-ს მიზანია ხელი შეუწყოს გერმანიასა და საქართველოს/სომხეთს შორის სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების დამყარებას და დაიცვას გერმანული ეკონომიკის ინტერესები საქართველოსა და სომხეთში. გარდა ამისა, DWV ემსახურება გერმანულ ფირმებს და აქტიურად ეხმარება მათ ქართულ და სომხურ ბაზარზე შესვლასა და დამკვიდრებაში. გერმანული ფირმების გარდა, DWV ასევე მზად არის მოემსახუროს გერმანულ-ენოვანი ქვეყნების ფირმებს, მაგალითად ავსტრიულსა და შვეიცარიულს. დაწვრილებითი ინფორმაცია ჩვენს შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.georgien.ahk.de

DWV - Messe Frankfurt-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში

Messe Frankfurt არის მსოფლიოს წამყვანი გამოფენების ორგანიზატორი. იგი სხვადასხვა ორგანიზაციებს გლობალური მასშტაბით შესაძლებლობას აძლევს წარადგინონ საკუთარი პროდუქცია და მომსახურება საერთაშორისო ბაზარზე. Messe Frankfurt ის ადგილია, სადაც მონაწილე კომპანიებს საშუალება ეძლევათ უშუალო კონტაქტი დაამყარონ პოტენციურ პარტნიორებთან.

DWV მხარს უჭერს Messe Frankfurt-ის ყველა გამოფენას და ეხმარება საქართველოს მოქალაქე გამოფენის მონაწილეებსა და ვიზიტორებს გამგზავრებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში.

იხილეთ, 2017 წლის გამოფენების კალენდარი, როგორც [ფრანკფურტში](#), ასევე [მიუღს მსოფლიოში](#). დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ: info@georgia.messefrankfurt.com

SES პროექტი საქართველოში - გერმანული ექსპერტები ქართული კომპანიების სამსახურში

Senior Expert Service (SES) წარმოადგენს გერმანიის ინდუსტრიისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ფონდის პროექტს, რომელიც გერმანულ ექსპერტებს აგზავნის სხვადასხვა კომპანიებში კონსულტაციისა და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. ექსპერტები წარმოადგენენ გამოცდილ სპეციალისტებს მრავალწლიანი სტაჟით, რომელთაც უკვე დაასრულეს

თავიანთი სამსახურებრივი მოღვაწეობა, აქვთ კარგი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები და ფლობენ უცხო ენებს. ექსპერტთა დახმარების მიღება შესაძლებელია 50 განსხვავებულ სფეროში. ისინი თავიანთ მომსახურებას სთავაზობენ მცირე და საშუალო საწარმოებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, ბიზნეს ასოციაციებსა და ისეთ მომსახურების სექტორებს, როგორებიც არიან სოციალური და სამედიცინო ინსტიტუტები, სკოლები და ა.შ.

ექსპერტის მომსახურება გამოიხატება კომპანიების თანამშრომელთა კონსულტირებით. იგი არ ითავსებს მენეჯერულ ფუნქციებს. ექსპერტის აყვანა შესაძლებელია 3 კვირიდან 6 თვის ვადით. ექსპერტი მუშაობს უსასყიდლოდ, თუმცა მისი საცხოვრებლის, კვებისა და ტრანსპორტირების (როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ) ხარჯებს, ასევე ადმინისტრაციულ ხარჯებს იხდის კომპანია, რომელსაც აკავებს ექსპერტი. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას არ შეუძლია არსებული ხარჯების დაფარვა, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტრომ (BMZ) შესაძლოა დაფაროს ხარჯების ნაწილი.

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის, გთხოვთ, მიმართოთ შემდეგ ვებ-გვერდს: www.ses-bonn.de, ბროშურა შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ [ინგლისურ](#), [გერმანულ](#) და [რუსულ](#) ენებზე. თუ დაინტერესებული ხართ ექსპერტთა მომსახურებით მოგვმართეთ: ses@georgien.ahk.de

DWV-ს მომსახურებები

განათავსეთ რეკლამა DWV-ს ვებ-გვერდზე

DWV-ს ვებ-გვერდზე რეკლამის განსათავსებლად, შეგიძლიათ ისარგებლოთ შემდეგი მედია საშუალებებით:

- ბანერის განთავსება ჩვენს ვებ-გვერდზე (გერმანულად და ქართულად)
- ბანერის განთავსება ჩვენს გერმანულ საინფორმაციო ბიულეტენში (გამოიცემა 12-ჯერ თვეში)
- თქვენი ბანერის განთავსება ჩვენს მედია საშუალებებში მოგანიჭებთ შემდეგ უპირატესობებს:
- გააცნობთ თქვენს თავს საერთაშორისო პუბლიკას
- ჩვენს საინფორმაციო ბიულეტენს იღებს 3.000-ზე მეტი გერმანელი მკითხველი
- რამოდენიმე მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში თქვენ ისარგებლებთ შეღავათიანი ფასებით

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

•საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •





DEUTSCHE WIRTSCHAFTS VEREINIGUNG

გერმანიის ეკონომიკური ბაერთიანება

გერმანიის ეკონომიკური ბაერთიანება

დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ჩვენი მედიაკიტი და დაგვიკავშირდით შემდეგ ელ. ფოსტაზე: zaira.soloeva@georgien.ahk.de

ადამიანური რესურსების სერვისით მომსახურება კომპანიებისათვის

თუ თქვენ ეძებთ გერმანულ ან ქართულენოვან თანამშრომლებს 5 წელზე მეტი გამოცდილებით, DWV გთავაზობთ ადამიანური რესურსების სერვისით მომსახურებას. ამ სერვისის ფარგლებში ჩვენ უსასყიდლო სტანდარტული კითხვარის მეშვეობით დაგეხმარებით თქვენთვის სასურველი კადრის მოძიებაში. თუ შეთანხმება თქვენსა და კანდიდატს შორის 3 თვეზე მეტხანს გაგრძელდა, ამ შემთხვევაში თქვენ დაგეხმარებათ გადასახადი. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ შემდეგ ელ-ფოსტაზე: jobs@georgien.ahk.de

ადამიანური რესურსების სერვისით მომსახურება სამსახურის მაძიებელათათვის

2012 წლიდან გერმანიის ეკონომიკური გაერთიანება საქართველოში გთავაზობთ კიდევ ერთი სახის: ადამიანური რესურსების სერვისით მომსახურებას. ამ მომსახურებით ჩვენ ვუზრუნველყოფთ ჩვენს წევრ ორგანიზაციებს, ქართულ და გერმანულ ენებზე მოლაპარაკე პერსონალით. მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, რომელსაც მინიმუმ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვს და საქართველოს მოქალაქეა და გერმანული ენა იცის ძალიან კარგად, გერმანიის მოქალაქეა და ქართულ ენას ფლობს მაღალ დონეზე.

დაინტერესებულ პირებს ვთხოვთ შეავსონ კითხვარი და გამოგვიგზავნონ ელ-ფოსტაზე: jobs@georgien.ahk.de. კითხვარის გადმოწერა შესაძლებელია შემდეგი მისამართიდან: DWV.HR.კითხვარი

კონსულტაცია გერმანიაში ექსპორტის შესახებ

DWV გთავაზობთ 45 წუთიან უფასო კონსულტაციას გერმანიაში ექსპორტის საკითხზე. კერძოდ ჩვენ:

- მიგითითებთ გერმანული კომპანიების მონაცემთა ბაზას, რომელიც დაგეხმარებათ თქვენი პროდუქტის პოტენციური მომხმარებლების მისამართების მოძიებაში.

- კონსულტაციას გაგიწევთ E-trade center-ის სისტემის შესახებ, სადაც შეგეძლება განათავსოთ თქვენი ბიზნეს მოთხოვნები უფასოდ.
- გაგიწევთ კონსულტაციას, თუ როგორ უნდა იპოვნოთ თქვენთვის საინტერესო საგამოფენო ღონისძიება მსოფლიოს მასშტაბით.
- ინფორმაციას მოგაწვდით ევროკავშირის Export Helpdesk-ის მონაცემთა ბაზაზე, სადაც მოცემულია ევროკავშირში არსებული საქსპორტო, საბაჟო ტარიფები და საჭირო დოკუმენტაცია.

DWV-ს პუბლიკაციები

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების წლიური ანგარიში 2016

გერმანიის ეკონომიკური გაერთიანების, 2016 წლის ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობის სრულ მიმოხილვას, აგრეთვე აქტუალურ ინფორმაციას მისი წევრების და პარტნიორების შესახებ. აღნიშნული პუბლიკაცია ხელმისაწვდომია გერმანულ-ქართულ ენაზე და შეგიძლიათ უფასოდ ჩამოტვირთოთ [ბმულიდან](#).

საქართველო - მომავლის ბაზარი!

გერმანიის ეკონომიკურმა გაერთიანებამ Germany Trade and Invest (GTAI) - თან ერთად გამოსცა საქართველოს ეკონომიკის ღრმა მიმოხილვა 70 გვერდიანი საერთო პუბლიკაციის სახით. მკითხველს საშუალება ექნება მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია ეკონომიკური განვითარების, მზარდი სექტორების, სამართლებრივი და საგადასახადო რეგულირებისა და სხვა მნიშვნელოვანი თემების შესახებ. აღნიშნული პუბლიკაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ გერმანულ ენაზე და შეგიძლიათ უფასოდ ჩამოტვირთოთ [ბმულიდან](#).

გერმანული ფირმები საქართველოში 2016

DWV გთავაზობთ მარტში რედაქტირებულ რიგით მეექვსე გამოშვებას „გერმანული ფირმები საქართველოში“. ეს კრებული მოიცავს საქართველოში არსებულ 390-მდე გერმანულ კომპანიას და 26 გერმანულ დაწესებულებას მისამართების, საქმიანობის სფეროსა და გენერალური დირექტორების გვარების მიხედვით. კრებულის საფასურია 155 ლარი დღე ჩათვლით და მისი შეძენა შესაძლებელია შემდეგი ელ-ფოსტის მეშვეობით: info@georgien.ahk.de. DWV-ს წევრებისათვის კრებული უფასოა.

რუსთაველის გამზ. 24, 0108 თბილისი. ტელ.: 2205767, ელ-ფოსტა: info@georgien.ahk.de, ვებ-გვერდი: www.georgien.ahk.de

- საბაზრო ინფორმაცია • საქმიანი პარტნიორების ძებნა • პერსონალის მოძიება • საქმიანი ვიზიტები • საოფისე მომსახურება • გამოფენები და კონფერენციები • თარჯიმნით უზრუნველყოფა • იურიდიული, საბაჟო და საგადასახადო კონსულტაცია • ორგანიზაციის დაარსება • DWV არის სენიორ ექსპერტთა სერვისისა და მესე ფრანკფურტის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოსა და სომხეთში •

